

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ საქიროებათა შეფასება

2020 წლის მაისი

მომზადდა:

კავკასიის ბუნების ფონდისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის

ავტორები:

ჰუგო ფონ ზილი და ირაკლი გოდუაძე

INDEPENDENT
ECONOMIC RESEARCHERS



მადლიერების გამოხატვა

ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და სხვა სექტორებში მოღვაწე მრავალი ადამიანის მონაწილეობით. ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ მათი წვლილი:

- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყველა დონეზე თანამშრომლეთა მხრიდან მიღებული მხარდაჭერა, მითითებები და ინტენსიური წვლილი. განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ, ვალერიან მჭედლიძე, ბესიკ კუსიდი, თომა დეკანოიძე და თამარ ხახიშვილი.

- კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გაწეული ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, განსაკუთრებით, თამარ პატარიძის, თეა ბარბაქაძისა და ჯეოვ ჯიაკომინის წვლილი.

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ უზრუნველყოფილი დაფინანსება და მხარდაჭერა, რომელიც წარმოდგენილი იყო ირაკლი გორაძის სახით.

- დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო შეხვედრის მონაწილეთა საგულისხმო წვლილი და ხელშეწყობა (იხ. დანართი #2, მონაწილეთა სია).

მიუხედავად ამისა, მოხსენებაში აღნიშნული ნებისმიერი შეხედულება და მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და ისინი უცილობლად არ გამოხატავს მონაწილეთა შეხედულებებსა თუ მოსაზრებებს.

შეთავაზებული ციტირება: ჰ.უ. ფონ ზილი და ი. გოდუაძე, 2020. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ საჭიროებათა შეფასება. მოხსენება კავკასიის ბუნების ფონდისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის, როგორც ნაწილი GEF/UNDP-ის პროექტისა „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში. კავკასიის ბუნების ფონდი, საქართველო“.

რეზიუმე

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, დაცული ტერიტორიების მართვისთვის განსაზღვრული მიმდინარე ბიუჯეტები ბევრად მცირეა იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც მათი ოპტიმალური, ხოლო ზოგ შემთხვევაში, თვით საბაზისო მართვისთვის არის საჭირო. დაცული ტერიტორიების მართვისთვის საჭირო ფინანსების ზუსტი განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი არის ამ ტერიტორიების კომპლექსური მართვის დაგეგმვისთვის. ფინანსური საჭიროებების კომპლექსური შეფასების წარდგენის შესაძლებლობა ხშირად აგრეთვე მნიშვნელოვანი ელემენტია დაცული ტერიტორიების დამატებითი დაფინანსების მოტივირების ან დასაბუთებისთვის. ამის გათვალისწინებით, ფინანსურ საჭიროებათა ეს შეფასება მოიცავს საქართველოს რვა სამიზნე დაცული ტერიტორიის მიმდინარე ხელმისაწვდომი დაფინანსების ჩაღრმავებულ შეფასებებს, ასევე, მათი საბაზისო და ოპტიმალური მართვისთვის საჭირო ფინანსური საჭიროებების გაანგარიშებას. თითოეული დაცული ტერიტორიისთვის მომზადებული ეს შეფასებები, შემდგომში გამოყენებული იქნა ქვეყნის ყველა დაცული ტერიტორიის სავარაუდო ფინანსურ საჭიროებათა პროგნოზირებისთვის.

დღეისათვის საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტის შედგენა პროგრამულ საფუძველზე ხდება და მისი საქმიანობა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა“ პროგრამას სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტი სამი ძირითადი ქვეპროგრამისაგან შედგება, კერძოდ: (1) „დაცული ტერიტორიების რეგულირება და მართვა“, (2) „დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა“ და (3) „ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია“. გარდა ამისა, გრძელვადიან დონორულ დაფინანსებას უზრუნველყოფს ერთის მხრივ კავკასიის ბუნების ფონდი „დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)“ ქვეპროგრამის მეშვეობით, მეორეს მხრივ, გაეროს განვითარების პროგრამა/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (UNDP/GEF) „საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება“ (GEF პერიოდები 4,5,6) პროექტის მეშვეობით და მესამეს მხრივ, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), რომელიც აფინანსებს „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასია - საქართველოში (ეკორეგიონული პროგრამა საქართველოსთვის, III ფაზა)“ ქვეპროგრამას. დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადასახდელები დაცული ტერიტორიების სისტემის მართვაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2019 წლისთვის - 22,63 მილიონ ლარამდე (7,07 მილიონი აშშ დოლარი) გაიზარდა, სადაც ყველაზე დიდი წილი დაცული ტერიტორიების მართვის და რეგულირების ქვეპროგრამას ხმარდებოდა.

რაც შეეხება შემოსავლებს, რომლებიც ამ გადასახდელების დასაფარავად არის საჭირო, 2014 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში: საკუთარი შემოსავლები საგულისხმოდ გაიზარდა 1,32 მილიონი ლარიდან 11,22 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 50%); სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები ასევე გაიზარდა, მაგრამ მცირედი ნაწილით - 5,56 მილიონი ლარიდან 6,48 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 29%); გრანტები შემცირებულ იქნა 4,97 მილიონი ლარიდან 4,21 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 19%); მიზნობრივი გრანტები, რომლებსაც უმცირესი წილი უკავიათ შემოსავლებში - გაიზარდა 0,07 მილიონი ლარიდან 0,34 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 2%).

რვა სამიზნე დაცული ტერიტორიის ფინანსურ საჭიროებათა შეფასების დასკვნების შეჯამება მოცემულია ცხრილში #1, სადაც აღწერილია განსხვავებები ქვემოთ მოცემულ მართვის სცენარებს შორის:¹

1. საბაზისო მართვის სცენარი - დაფინანსების მინიმალური დონე, რომელიც აუცილებელია კონსერვაციის ძირითადი პროგრამების მიმდინარეობისთვის და ამავდროულად, აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს დაცულ ტერიტორიებზე ეკოსისტემების ფუნქციონირების შენარჩუნების კუთხით.

2. ოპტიმალური მართვის სცენარი - დაფინანსების იდეალური დონე, რომელიც აუცილებელია ყველა პროგრამის განსახორციელებლად, რათა დაცულ ტერიტორიებზე მიღწეულ იქნეს და შენარჩუნდეს ეკოსისტემების ფუნქციონირება. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცულ ტერიტორიებზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მიღწევა უმაღლესი დონის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური სტანდარტების შესაბამისად.

დეფიციტი (ანუ დამატებითი დაფინანსების მოცულობა, რომელიც უდრის მთლიან ფინანსურ საჭიროებებს გამოკლებული არსებული დაფინანსების ჯამური მაჩვენებელი) მომავალი ექვსი წლის განმავლობაში, მკვეთრად განსხვავდება მართვის ორივე სცენარში. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მმართველში მყოფ ტერიტორიებზე, საბაზისო მართვის სცენარის ფარგლებში, იგი მერყეობს 27%-დან (რომელიც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიისთვის იყო ხელმისაწვდომი) - 119%-მდე (ჯავახეთის დაცული ტერიტორიისთვის). ერთი სამიზნე დაცული ტერიტორიისთვის, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო არ მართავს, კერძოდ, თუშეთის დაცული ლანდშაფტისთვის, საგულისხმოდ დიდი სხვაობა დაფიქსირდა - არსებული დაფინანსების 442%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დღეისათვის ხელმისაწვდომი დაფინანსებით შესაძლებელი იქნება მართვის მიმდინარე საჭიროებათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის დაკმაყოფილება. ანალოგიური მდგომარეობა არის ოპტიმალური მართვის სცენარის მიმართებითაც, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, დეფიციტის ოდენობა არსებითად აღემატება საბაზისო მართვის სცენარისთვის დამახასიათებელ დეფიციტს.

ფინანსური საჭიროების საერთო რაოდენობის ანგარიში შეიცავს ინდივიდუალურ პუნქტებსა და მოქმედებებს, როგორცაა, დამატებითი თანამშრომლების დანიშვნა, უკეთესი კვლევები, ტურიზმის ახალი ინფრასტრუქტურა და მრავალი სხვა. ეს პუნქტები უმჯობესია განვიხილოთ როგორც ერთმანეთთან ინტეგრირებული და ურთიერთგამაძლიერებელი.

¹ იხ. Flores et al. (2008).


ცხრილი #1: სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომი მთლიანი დაფინანსების, საჭირო მოცულობისა და დეფიციტის (მთლიანი მაჩვენებლები ნაზარდი ჯამით მომავალი ექვსი წლისთვის (ტ), 2021 - 2026 წლები) შემაჯამებელი მონაცემები

დაცული ტერიტორიის დასახელება	პროგნოზირებული ხელმისაწვდომი დაფინანსება	მართვის საბაზისო სცენარი			მართვის ოპტიმალური სცენარი		
		ფინანსური საჭიროებების ოდენობა	დეფიციტი (%მაჩვენებელი ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან მიმართებაში)		ფინანსური საჭიროებების ოდენობა	დეფიციტი (%მაჩვენებელი ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან მიმართებაში)	
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	10,046,700	14,284,624	4,237,924	42%	17,548,113	7,501,413	75%
ვაშლივანის დაცული ტერიტორიები	5,352,000	6,799,561	1,447,561	27%	9,324,527	3,972,527	74%
თუშეთის დაცული ტერიტორიები	3,918,000	6,288,693	2,370,693	61%	9,342,370	5,424,370	138%
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები	3,876,000	5,689,424	1,813,424	47%	7,989,962	4,113,962	106%
მტირალას ეროვნული პარკი	2,808,000	4,787,528	1,979,528	70%	7,149,416	4,341,416	155%
ჯავახეთის დაცული ტერიტორიები	2,634,000	5,778,442	3,144,442	119%	8,304,467	5,670,467	215%
მაჭახელას ეროვნული პარკი	2,112,000	3,723,062	1,611,062	76%	6,695,708	4,583,708	217%
თუშეთის დაცული ლანშაფტი	1,260,000	6,831,762	5,571,762	442%	9,802,907	8,542,907	678%

რვა სამიზნე დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებების გაანგარიშება გამოყენებულ იქნა სისტემის სხვა დაცული ტერიტორიების სავარაუდო ფინანსური საჭიროებების პროგნოზირებისთვის, სათავე ოფისის გადასახდელების ნებისმიერი პოტენციური ზრდის გამოკლებით.

სურათი #1-ზე შეჯამებულია საბაზისო მართვის სცენარისთვის საჭირო დაფინანსების ფარდობა სავარაუდო ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან დაცული ტერიტორიების მთელი სისტემისთვის. ფინანსური საჭიროებები იწყება 2021 წელს 29,62 მილიონი ლარით და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 173,46 მილიონ ლარს აღწევს. დაფინანსების დეფიციტი იწყება 2021 წელს 16,58 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 15,00 მილიონ ლარამდე მცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 95,17 მილიონ ლარს (29,73 მილიონი აშშ დოლარი) შეადგენს, ხოლო დეფიციტის დაფარვას დასჭირდება პროგნოზირებულ ხელმისაწვდომ დაფინანსებაზე დაახლოებით 122%-ით მეტი სახსრები.


სურათი #1. საბაზისო მართვის სცენარის ფინანსურ საჭიროებათა შეფარდება სავარაუდო ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან მიმართებაში დაცული ტერიტორიების მთელი სისტემის დონეზე, ტ (2021 - 2026 წლები)



სურათი #2 ასახავს ოპტიმალური მართვის სცენარისთვის საჭირო ფარდობას სავარაუდო ხელმისაწვდომ ფონდებთან დაცული ტერიტორიების მთელი სისტემისთვის.

ფინანსური საჭიროებები იწყება 2021 წელს 37,19 მილიონი ლარით და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 217,4 მილიონ ლარს აღწევს. დაფინანსების დეფიციტი იწყება 2021 წელს 24,15 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 21,87 მილიონ ლარამდე მცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 139,12 მილიონ ლარს (43,48 მილიონი აშშ დოლარი) შეადგენს, ხოლო დეფიციტის დაფარვას დასჭირდება პროგნოზირებულ ხელმისაწვდომ დაფინანსებაზე დაახლოებით 178%-ით მეტი სახსრები.

სურათი #2. მართვის ოპტიმალური სცენარის ფინანსურ საჭიროებათა შეფარდება სავარაუდო ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან მიმართებაში დაცული ტერიტორიების მთელი სისტემის დონეზე, ლ (2021 - 2026 წლები)



ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საფრთხეებისა და გამოწვევების დარეგულირებაში, შესაძლებლობების შექმნაში და მართვის ძირითადი მიზნების მიღწევაში, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ტურიზმის განვითარებისა და საზოგადოების ჩართულობის ჩათვლით. იგი შესაფერი იქნება მართვის ორივე სცენარისთვის, უფრო მეტად, ოპტიმალური მართვის სცენარისთვის, რომელიც დაცული ტერიტორიების დაფინანსების იდეალურ დონეს ასახავს და მათი ღირებულებების მაქსიმალურად გაზრდის საშუალებას იძლევა. სათანადო ბიუჯეტის ქონა მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის მიღწევაში საგულისხმო როლს ასრულებს მთელი რიგი სხვა კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი. იგი მოიცავს პოლიტიკურ ნებასა და მხარდაჭერას მაღალ დონეზე, დახმარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, სამართლებრივ და ეკონომიკურ ჩარჩოს - რომელიც დაცული ტერიტორიების წინაშე მდგარი საფრთხეების აღმოფხვრაზე არის მიზანმიმართული და რომლებიც ოპტიმალურად ხორციელდება, პერსონალის შესაძლებლობებსა და მოტივაციას, კარგ ურთიერთობებს ძირითადად თანამშრომლობაზე ორიენტირებულ მეზობელ თემებთან და სხვ.

ამ შეფასებისთვის შემუშავებული პროცესი და ფინანსური მოდელი უზრუნველყოფს განხორციელებად ნიმუშს ფინანსური საჭიროებების სამომავლო შეფასებებისთვის, რომლებიც არის კომპლექსური და აკმაყოფილებს სახელმწიფო საბიუჯეტო მოთხოვნებს პროგრამული ბიუჯეტის ფორმირების თვალსაზრისით. შეფასების შედეგები ახლა უკვე შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც მართვისა და ფინანსური დაგეგმვის ნაწილი. გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ ურთიერთქმედებები

დამფინანსებლებთან მთავრობაში, დონორთა საზოგადოებაში, კერძო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ფინანსური მართვის მაღალი სტანდარტებით გამოირჩევიან, ფინანსური საჭიროებების გამჭვირვალე და დეტალური შეფასებების ჩათვლით.

რეკომენდებულია, რომ წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას გამოყენებული იქნეს და განახლდეს ფინანსური მოდელი, განსაკუთრებით, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების განახლებასთან დაკავშირებით. სამიზნე დაცული ტერიტორიებისთვის დამატებით უნდა იქნეს განხილული მოდელი და დეტალური მონაცემები მათი პოტენციალის თვალსაზრისით, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება ხარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების გზების იდენტიფიცირებისთვის. მოდელის მიღების, აღქმისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად, ასევე აუცილებელი იქნება შესაძლებლობათა გაძლიერება. მისი რეალიზება შესაძლებელია შედარებით მოკლევადიანი (ორ-სამ დღიანი) ტრენინგებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის წამყვან მუშაკებთან, კონკრეტული დაცული ტერიტორიების მენეჯერებთან/ადმინისტრატორებთან და დაცული ტერიტორიის მართვაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირებთან.

შინაარსი

მადლიერების გამოხატვა	II
რეზიუმე.....	III
შინაარსი.....	VIII
აკრონიმები	IX
1 შესავალი.....	1
2 მეთოდი.....	3
2.1 სკოპინგისა და საწყისი მოკვლევის ფაზა.....	3
2.2 ფინანსური ანალიზის ფაზა	4
3 დაცული ტერიტორიების დაფინანსების კონტექსტი.....	6
3.1 საბიუჯეტო პროცესი.....	6
3.2 გადასახდელები	6
3.3 შემოსავლები.....	8
4 თითოეული დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებები.....	10
4.1 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	10
4.2 ვაშლოვანის დაცული ტერიტორია.....	13
4.3 თუშეთის დაცული ტერიტორია	17
4.4 ლაგოდეხის დაცული ტერიტორია	20
4.5 მტირალას ეროვნული პარკი.....	23
4.6 ჯავახეთის დაცული ტერიტორია	26
4.7 მაჭახელას ეროვნული პარკი.....	29
4.8 თუშეთის დაცული ლანდშაფტი	32
5 დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური საჭიროებები	35
6 დასკვნები და რეკომენდაციები.....	37
7 გამოყენებული ლიტერატურა.....	38

აკრონიმები

აკრონიმი	განმარტება
APA	საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
BIOFIN	ბიომრავალფეროვნების ფინანსური ინიციატივა
CBD	კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ
CBO	სათემო ორგანიზაცია
CNF	კავკასიის ბუნების ფონდი
FNA	ფინანსურ საჭიროებათა შეფასება
FSSC	ფინანსური მდგრადობის შეფასების ბარათი
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
GiZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაცია)
HA	ჰექტარი (ჰა)
IUCN	ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
KfW	Kreditanstalt Für Wiederaufbau (გერმანიის განვითარების ბანკი/KfW)
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NP	ეროვნული პარკი
PA	დაცული ტერიტორია
PL	დაცული ლანდშაფტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

1 შესავალი

ფინანსური მდგრადობა არის კონკრეტული დაცული ტერიტორიის და მთლიანად დაცული ტერიტორიების სისტემის უნარი დააკმაყოფილოს მისი ფინანსური საჭიროებები აწმყოში და მომავალში, დაცული ტერიტორიის მართვის დადგენილი მიზნებისთვის, ზიანის მიყენების გარეშე. დაფინანსება დაცული ტერიტორიების ფუნქციური სისტემის შექმნისთვის საჭირო მრავალ კომპონენტთა შორის მხოლოდ ერთ-ერთია, მაგრამ არასათანადო ფინანსური დახმარება ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების კარგვასა და დეგრადაციაში, რადგან იგი ზღუდავს დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობას. არასაკმარისი დაფინანსება ხშირად ნიშნავს, რომ დაცული ტერიტორიების სისტემაში არ არის სათანადო რაოდენობის თანამშრომელი, აღჭურვილობა ან/და მართვისთვის საჭირო სხვა ატრიბუტები, რის შედეგადაც დაცული ტერიტორიები ვერ ახერხებენ დასახული მიზნების მიღწევას და მათი უფლებამოსილების განხორციელებას.

დაცული ტერიტორიის მართვისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის სათანადო ფინანსური დასაბუთებისთვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კოსერვაციის მიზნების მიღწევას. ბევრ ქვეყანაში დაცული ტერიტორიების მიმდინარე ბიუჯეტები და გადასახდელები ბევრად ნაკლებია ფაქტობრივად საჭირო დაფინანსებაზე, რომელიც ოპტიმალური და ზოგ შემთხვევაში, თვით საბაზისო მართვისთვის არის საჭირო, რომელმაც ბიომრავალფეროვნების დონის შენარჩუნება ან გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს.

2017 წელს, გაეროს ფინანსური მდგრადობის შეფასების სისტემის (FSSC) გამოყენებით დადგინდა, რომ საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის საბაზისო მართვისთვის 11,08 მილიონი აშშ დოლარი არის საჭირო, ხოლო ოპტიმალური მართვისთვის - 16,62 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების, საქმიანობისა და კაპიტალურ დაბანდებებზე (არაფინანსური აქტივების ზრდაზე) გაწეულ სახსრებს.² თუმცა, FSSC-ის საფუძველზე გაკეთებული ფინანსური საჭიროებების შეფასება საკმარისად სრული და ზუსტი არ იყო, რადგან ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის გაანგარიშება ნაწილობრივ დაეფუძნა არასრულყოფილ მონაცემებს, ხოლო მართვის ფინანსურ საჭიროებათა შეფასება არასრულყოფილად შემუშავებული და ჰარმონიზებული მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა. მთლიანობაში ეს ყველაფერი განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან სიდრმისეული კონსულტაციების გარეშე. კავკასიის ბუნების ფონდი და დაცული ტერიტორიების სააგენტო, როგორც ასეთი, შეთანხმდნენ, რომ FSSC-ის შეფასება ვერ იქნებოდა მიზნობრივი მდგრადი დაფინანსების გეგმების განვითარებისა და აქტივობების განხორციელების საფუძველი, რომლებსაც დამატებითი შემოსავლები უნდა მოეზიდა.

სწორედ ამის გათვალისწინებით მოითხოვა კავკასიის ბუნების ფონდმა ამ შეფასების გაკეთება. შეფასებას უნდა განესაზღვრა შემდეგი: საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მიმდინარე და ერთჯერადი (კაპიტალური) ინვესტირების ხარჯი (არაფინანსური აქტივების გაზრდის თანხა) - ამჟამად არსებული ფინანსები და შეფასებით დადგენილი ფინანსური საჭიროებები საბაზისო და ოპტიმალური მართვისთვის - რვა შერჩეულ დაცულ ტერიტორიაზე ჩატარებული ჩაღრმავებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ჩატარდებოდა ერთიანი მეთოდოლოგიისა და ფინანსური დაგეგმვის ნიმუშების გამოყენებით, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

² საბაზისო და ოპტიმალური მართვის სცენარების განამრტება იხ. ქვემოთ, 2.1 განყოფილებაში.

ეს შეფასება არის კომპონენტი გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (UNDP/GEF) პროექტისა „საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება“, რომელიც ტექნიკური დახმარების ხუთწლიანი პროექტია. მას აფინანსებს გაეროს გარემოსდაცვითი ფონდი საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის მეშვეობით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ბიომრავალფეროვნების ოპერატიული პროგრამის რესურსებიდან.

ეს შეფასება მხოლოდ ფინანსურ საჭიროებებზე არის მიმართული. თუმცა, ცხადია, რომ დამატებითი ფონდები უცილობლად ვერ იქნება საკმარისი დაცული ტერიტორიების სისტემის გაუმჯობესებული მართვის მისაღწევად. დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან ერთად მრავალი სხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი, მაღალი დონის პოლიტიკური ნების, მხარდამჭერი პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების წინაშე მდგარი საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლას და რომელიც ოპტიმალურად ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შესაძლებლობები და მოტივაცია, კარგი ურთიერთობები მეზობელ თემებთან - რომლებიც ზოგადად მზად არიან თანამშრომლობისთვის და სხვა ფაქტორები. ეს შეფასება ასევე არ განიხილავს საჭირო დამატებითი დაფინანსების პოტენციური წყაროების საკითხს. გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (UNDP/GEF) იმავე პროექტის ფარგლებში ცალკე კეთდება ფინანსური შესაძლებლობების ანალიზი შერჩეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც ამ მიმართებით შესაბამისი პოტენციალი აქვთ. გარდა ამისა, ახლახანს ჩატარდა წინასწარი კვლევა იმ აქტივობების, რომლებსაც შემოსავლების გენერირება შეუძლიათ. კვლევა მიზანმიმართული იყო ტურიზმზე და მასში ჩართული იყო შერჩეული დაცული ტერიტორიები, კერძოდ, მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები, ხოლო ანალოგიური კვლევა მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიისთვის.

2 მეთოდი

პროექტი დაიწყო სკოპინგისა და საწყისი მოკვლევის ფაზით, რომელმაც საფუძვლი მოამზადა ფინანსური ანალიზის ფაზისთვის, რომლის შედეგიც გახდა ფინანსურ საჭიროებათა შეფასება (FNA).

2.1 სკოპინგისა და საწყისი მოკვლევის ფაზა

სკოპინგისა და საწყისი მოკვლევის ფაზა შემდეგ ძირითად აქტივობებს მოიცავდა:

- ტექნიკური დავალების განმარტება;
- დოკუმენტების განხილვა, გაეროს ფინანსური მდგრადობის შეფასების სისტემის (FSSC), შერჩეული დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებისა და მართვის დაგეგმარებისთვის განსაზღვრული ეროვნული გაიდლაინების ჩათვლით;
- დაცული ტერიტორიების სისტემის და კონკრეტული დაცული ტერიტორიების საწყისი საბიუჯეტო მონაცემების შეგროვება, განხილვა და ანალიზი. იგი უპირატესად დაეფუძნა მონაცემებს, რომლებიც წარმოადგინეს დაცული ტერიტორიების სააგენტომ და კავკასიის ბუნების დაცვის ფონდმა, ასევე, შესაბამის შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა;
- ფინანსურ საჭიროებათა შეფასების საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების მიმოხილვა, კერძოდ, დოკუმენტების, რომლებიც მომზადებულია კონსერვაციის ფინანსური ალიანსის და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ასევე, შესაბამისი საერთაშორისო მაგალითები;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა, უპირველეს ყოვლისა, საწყისი სამუშაო შეხვედრის მეშვეობით.

საწყისი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა დაინტერესებული მხარეებისთვის ფინანსურ საჭიროებათა შეფასების კონცეფციის წარდგენის მიზნით, მისი პროცესების, პროცედურებისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით (სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი და დამსწრეთა სია მოცემულია დანართებში #1 და #2). ეს სამუშაო შეხვედრა, ასევე გამოყენებულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა გამოცდილებისა და პრობლემების შესახებ თავდაპირველი ინფორმაციის მისაღებად, რათა ხელი შეწყობოდა პროექტის ფინანსური მოდელის დაზუსტებას, რომელიც საფუძვლად დაედო ფინანსურ საჭიროებათა ანალიზს. ხაზგასმით იქნა მითითებული ფინანსურ საჭიროებათა ანალიზის დაკავშირების მნიშვნელობაზე არსებული მართვისა და ოპერატიულ გეგმებთან, ასევე, იმ გადაწყვეტ როლზე, რომელსაც დაცული ტერიტორიების მენეჯერები და დაინტერესებული მხარეები ასრულებენ.

ფინანსურ საჭიროებათა შეფასებაში მოცემულია ფინანსური საჭიროებები (1) საბაზისო მართვის და (2) ოპტიმალური მართვის სცენარებისთვის, რომლებიც შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

1. **საბაზისო მართვის სცენარი** (საბაზისო დონე) არის დაფინანსების მინიმალური დონე, რომელიც საჭიროა კონსერვაციის ძირითადი პროგრამების მიმდინარეობისთვის და ამავდროულად, აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს დაცულ ტერიტორიებზე ეკოსისტემების ფუნქციონირების შენარჩუნების კუთხით.

2. **ოპტიმალური მართვის სცენარი** (ოპტიმალური დონე) არის დაფინანსების იდეალური დონე, რომელიც საჭიროა ყველა პროგრამის განსახორციელებლად, რათა დაცულ ტერიტორიებზე მიღწეულ იქნეს და შენარჩუნდეს ეკოსისტემების ფუნქციონირება. ოპტიმალური დონე აღწერს პროგრამის იდეალურ მდგომარეობას, როდესაც არსებობს ამ მდგომარეობის მისაღწევად აუცილებელი ყველა ფინანსური საშუალება, პერსონალი, აღჭურვილობა და სხვა რესურსი. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცულ ტერიტორიებზე მოკლე, საშუალო და

გრძელვადიანი მიზნების მიღწევა უმაღლესი დონის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური სტანდარტების შესაბამისად.“ (ფლორესი და სხვები, 2008).

ამრიგად, მართვის ეს სცენარები მართვის პრიორიტეტებს, აუცილებელ პროგრამებსა და აქტივობებს მიჯნავს იმ პროგრამებსა და აქტივობებისაგან, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი არ არის საბაზისო მოვლა-შენარჩუნებისთვის. ეს სცენარები განხილულ იქნა დაცული ტერიტორიების მენეჯერებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მაქსიმალური თანხმობისთვის მიეღწიათ ქართულ კონტექსტში მათი მნიშვნელობის საკითხზე.

საწყისი ფაზისა და სკოპინგის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფინანსურ საჭიროებათა მოდელის და ფინანსური ანალიზის ფაზაში მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის პირველი ვერსიის შემუშავება.

2.2 ფინანსური ანალიზის ფაზა

ფინანსური ანალიზის ფაზაში გამოყენებულ იქნა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომა, რომელიც შემდეგ ამოცანებსა და აქტივობებს მოიცავდა:



ფინანსურ საჭიროებათა შეფასების ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია დაცული ტერიტორიების არსებული მართვის გეგმების შესახებ, რომლებსაც თან დაერთო დაცულ ტერიტორიათა მენეჯერების მიერ მიწოდებული მონაცემები. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, იგი ეფუძნება პროგრამულ მიდგომას, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში იყენებს (დამატებითი დეტალები იხ. განყოფილებაში **#Error! Reference source not found.**).

სადაც შესაძლებელი იყო, ფინანსურ საჭიროებათა შეფასება დაეყრდნო მინიმალურ სტანდარტებს ან მოთხოვნებს მართვის თითოეული სცენარისთვის. ისინი მიუთითებენ, მაგალითად, საშტატო ერთეულებზე, ტექნიკურ აღჭურვილობაზე, ინფრასტრუქტურასა და სხვა ელემენტებზე, რომლებიც ჩვეულებრივ დაცული ტერიტორიის მართვის ნებისმიერი სცენარისთვის არის საჭირო. ფინანსურ საჭიროებათა შეფასებისთვის შემუშავდა დაფინანსებისა და გადასახდელების გაანგარიშების საერთო მოდელი,

რომელმაც უზრუნველყო კონკრეტული სტრუქტურა ფინანსურ საჭიროებათა შეფასებისთვის. სამომავლოდ ამ მოდელის გამოყენება ანალოგიური ხასიათის ნებისმიერ პროცესში იქნება შესაძლებელი.

ფინანსურ საჭიროებათა დეტალური შეფასება გაკეთდა შემდეგი რვა დაცული ტერიტორიისთვის:

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;
2. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები;
3. თუშეთის დაცული ტერიტორიები;
4. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები;
5. მტირალას ეროვნული პარკი;
6. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები;
7. მაჭახელას ეროვნული პარკი;
8. თუშეთის დაცული ლანდშაფტი.

ეს დაცული ტერიტორიები კარგად ასახავს დაცული ტერიტორიების ტიპების, ჰაბიტატებისა და ლანდშაფტების მრავალსახეობას, ასევე, გეოგრაფიულ გავრცელებას (საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა იხ. სურათზე ან დანართში #3). ფინანსურ საჭიროებათა გაანგარიშებები შემდეგ გამოყენებულ იქნა ქვეყნის ყველა დაცულ ტერიტორიაზე ფინანსურ საჭიროებათა ექსტრაპოლირებისთვის. არ განხილულა და არც შეფასებულა სათავო ოფისის გადასახდელების პოტენციური ზრდა, როგორცაა, ადამიანური რესურსების მართვის შესაძლებლობათა გაფართოების აუცილებლობა. ასეთი ზრდა მოსალოდნელი უფრო მაშინ იქნება, თუ მოხდება კონკრეტული დაცული ტერიტორიების დაფინანსების საგულისხმო ზრდა. ყველა ფულადი თანხა მითითებულია ლარში, ხოლო ზოგიერთი მათგანი - აშშ დოლარში, გაცვლის კურსით 3,2 ლარი = 1 აშშ დოლარს.

მოხსენების დანარჩენი ნაწილი შემდეგნაირად არის სტრუქტურირებული:

- მე-3 განყოფილებაში მოცემულია დაცული ტერიტორიის დაფინანსების საერთო კონტექსტი;
- მე-4 განყოფილებაში ცალ-ცალკე არის მოცემული რვა შერჩეული დაცული ტერიტორიის ფინანსურ საჭიროებათა შეფასების შედეგები;
- მე-5 განყოფილება ეფუძნება თითოეული დაცული ტერიტორიის შედეგებს, რათა მოხდეს დაცული ტერიტორიების მთლიანი სისტემის ფინანსურ საჭიროებათა პროგნოზირება;
- მე-6 განყოფილება არის შემჯამებელი განყოფილება.

3 დაცული ტერიტორიების დაფინანსების კონტექსტი

საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფინანსური კონტექსტი მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო არის დაცული ტერიტორიების ფინანსურ საქმიანობათა შეფასებისთვის. ამის გათვალისწინებით, ამ განყოფილებაში მოკლედ არის განხილული დაცული ტერიტორიების სააგენტოს საბიუჯეტო პროცესი, ბიუჯეტის და გადასახდელების რაოდენობა და შემოსავლები.

3.1 საბიუჯეტო პროცესი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის #110 ბრძანების მე-10 მუხლი ეხება მენეჯმენტის გეგმის პროგრამებს და ის გამოიყენება პროგრამული ბიუჯეტირების პროცესის დროს, რომელიც დღეისათვის გამოიყენება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. სამინისტროში და სახელმწიფო ბიუჯეტში დაცული ტერიტორიების საქმიანობა მოქცეულია შემდეგი სახელწოდების ქვეშ: დაცული ტერიტორიების სისტემის პროგრამის ჩამოყალიბება და მართვა. მასში გამოყოფილია სამი ძირითადი პროგრამა/ქვეპროგრამა და ცხრა ქვეპროგრამა/აქტივობა:

1. დაცული ტერიტორიების რეგულირება და მართვა:

ა) დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის განვითარება.

2. დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა:

ა) ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით და სხვა ბუნებრივი ფენომენებით გამოწვეული რისკების მართვა;

ბ) დაცული ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და საქმიანობების შემთხვევაში, აღდგენა;

გ) დაცული ტერიტორიაზე უკანონო შეღწევის, დაცული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენების ან სხვა უკანონო საქმიანობების წინააღმდეგ დაცვა;

დ) დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობისა და ტენდენციების მონიტორინგი;

ე) დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

3. ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია:

ა) გარემოსდაცვითი განათლება;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;

გ) ეკოტურიზმი.


გარდა ამისა, გრძელვადიანი დონორული ფონდებით ხდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება:

- დაცული ტერიტორიების განვითარება - კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
- ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთი კავკასია - საქართველო (ეკორეგიონული პროგრამა საქართველოში)“ - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)

3.2 გადასახდელები


2019 წლისთვის, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, დაცული ტერიტორიების სისტემის მართვისთვის განკუთვნილი გადასახდელების ჯამური ოდენობა 22,63 მილიონ ლარამდე (7,07 აშშ დოლარი) გაიზარდა, რაც 2014 წლის გაორმაგებულ გადასახდელებზე მეტია (იხ. სურათი #3-1). ამ გადასახდელების დაახლოებით 72% საოპერაციო ხარჯები იყო, ხოლო დანარჩენი კაპიტალურ ხარჯებს (არაფინანსური აქტივების ზრდას) მოხმარდა. იგი მოიცავს დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადასახდელებს, როგორც მისი თბილისის სათავო ოფისისთვის, ისე მისი ცალკეული დაცული ტერიტორიებისთვის.

სურათი #3-1. დაცული ტერიტორიების სააგენტოს წლიური გადასახდელები, დაყოფილი საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებად (არაფინანსური აქტივების ზრდად), '000 ლ



სურათი #3-2-ზე ნაჩვენებია საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა უჩვენებს, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საოპერაციო ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს 573 თანამშრომლისთვის გადახდილი ხელფასი, ხოლო მომდევნო ადგილი უკავია საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს.


სურათი #3-2. დაცული ტერიტორიების საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა '000 ლ



„დაცული ტერიტორიების რეგულირება და მართვა“ ქვეპროგრამა ყველაზე გამორჩეული ქვეპროგრამა იყო და 2019 წელს მან ჯამური გადასახდელების 76% შეადგინა. მომდევნო ადგილები ეკავა „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველოს (ეკორეგიონალური პროგრამა - საქართველო)“ ქვეპროგრამას და

კავკასიის ბუნების ფონდის პროგრამას „დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)“ ქვეპროგრამას (იხ. სურათი #3-3).

სურათი #3-3. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჯამური გადასახდელები ქვეპროგრამის მიხედვით '000 ლ




3.3 შემოსავლები

დღეისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტო შემოსავლების გენერირებას შემდეგი წყაროებიდან ახდენს:

- საკუთარი შემოსავლები;
- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- გრანტები, ძირითადად დონორებისგან, როგორცაა, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW);
- მიზნობრივი გრანტები


სურათი #3-4 უჩვენებს შემოსავლების ოდენობას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. 2014 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში: საკუთარი შემოსავლები საგულისხმოდ გაიზარდა 1,32 მილიონი ლარიდან 11,22 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 50%); სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები ასევე გაიზარდა, მაგრამ მცირედი ნაწილით - 5,56 მილიონი ლარიდან 6,48 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 29%); გრანტები შემცირებულ იქნა 4,97 მილიონი ლარიდან 4,21 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 19%); მიზნობრივი გრანტები, რომლებსაც უმცირესი წილი უკავიათ შემოსავლებში - გაიზარდა 0,07 მილიონი ლარიდან 0,34 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 2%).

სურათი#3-4: დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლები წყაროების მიხედვით, '000 ლ



საკუთარ შემოსავლებს შორის დომინირებს ტურიზმი, რომელმაც 2019 წელს 9,18 მილიონი ლარი შეადგინა. მომდევნო ადგილი უკავია ტყითსარგებლობის კომპენსაციებს (1,19 მილიონი ლარი), მიწის დროებით სარგებლობაში (იჯარა, აღნაგობა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს (0,50 მილიონი ლარი), ქონების (გარდა მიწისა) დროებით სარგებლობაში გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს, ხე-ტყის დამზადების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებს, ბანკის პროცენტს, ჯარიმებს და სხვა შემოსავლებს (იხ. სურათი #3-5).

სურათი #3-5: დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები თითოეული კატეგორიის მიხედვით, '000 ლ



4 თითოეული დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებები

მომდევნო განყოფილებებში განხილულია რვა სამიზნე დაცული ტერიტორიისთვის ჩატარებული ფინანსურ საჭიროებათა შეფასების შედეგები, რომლებიც ექსელის ფორმატში სპეციალურად შექმნილ ფინანსურ მოდელს ეფუძნება. დანართი #3 უფრო დეტალურად აღწერს ყოველი დაცული ტერიტორიის ფინანსურ საჭიროებათა კომპონენტებს თითოეული სცენარისთვის, მათი პროგრამებად და ქვეპროგრამებად დაყოფისა და ოპერატიული და კაპიტალური ხარჯების (არაფინანსური აქტივების ზრდის) საჭიროებათა გამიჯვნის ჩათვლით. შედეგებში გამოყენებულია შემდეგი შემოკლებული სახელწოდებები:

- „ადმინისტრაციული პროგრამა“ ნიშნავს „დაცული ტერიტორიების რეგულირება და მართვა“ პროგრამას/ქვეპროგრამას;
- „დაცვისა და მართვის პროგრამა“ ნიშნავს „დაცული ტერიტორიებისა და რესურსების მართვა“ პროგრამას/ქვეპროგრამას;
- „ურთიერთთავსებადი გამოყენების პროგრამა“ ნიშნავს „ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია“ პროგრამას/ქვეპროგრამას.

თვით ექსელის მოდელი ბევრად უფრო დეტალურ შედეგებსა და გამწვანებული მონაცემების მაქსიმალურ დონეს უზრუნველყოფს (მიზნობრივი დაცული ტერიტორიების ფინანსურ საჭიროებათა შეფასების უმრავლესობა 100-ზე მეტ ინიდივიდუალური ხარჯის პუნქტს შეიცავს).

2020 წლის მიმართებით ყველა თანხა მოცემულია ლარში, ხოლო მომავალი წლების მიმართებით ინფლაცია გათვალისწინებული არ არის. მომავალში ხელმისაწვდომი ფონდების და შემოსავლების პროგნოზი (ანუ დაფინანსების ან ფონდების საბაზისო დონე) შეფასდა დღეისათვის არსებული ფონდების საფუძველზე და გაკეთდა გამარტივებული დაშვება, რომ, მართალია, ისინი შესაბამისობაში იქნება ინფლაციასთან, მაგრამ რეალურ გამოხატულებაში მათი ზრდა არ მოხდება.

დაცული ტერიტორიების მთლიანი ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საფრთხეებისა და გამოწვევების დამძლევაში, შესაძლებლობათა შექმნაში, და შექმნის მართვის ძირითადი ამოცანების მიღწევის საშუალებას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ტურიზმის განვითარებისა და საზოგადოების მონაწილეობის ჩათვლით. ეს ეხება მართვის ორივე სცენარს, განსაკუთრებით, ოპტიმალური მართვის სცენარს, რომელიც დაცული ტერიტორიების დაფინანსების იდეალურ დონეს ასახავს და რომელსაც შეუძლია მაქსიმალურად გაზარდოს მათი ღირებულება კონსერვაციის მიზნებისთვის და საზოგადოებისთვის.

ფინანსურ საჭიროებათა საერთო ნუსხა მთელი რიგი ინდივიდუალური პუნქტისა და მოქმედებისაგან შედგება, როგორცაა, დამატებითი თანამშრომლების დანიშვნა, უკეთესი კვლევითი სამუშაოები, ტურიზმის ახალი ინფრასტრუქტურა და მრავალი სხვა. საუკეთესო წარმოდგენით ისინი არის ინტეგრირებული და ურთიერთგამაძლიერებელი კომპონენტები.

4.1 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს 104 933 ჰა უკავია და იგი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. პარკის ტერიტორია ვრცელდება იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებზე. იგი ძირითადად შედგება ბუნებრივი ტყის და ალპური და სუბალპური მდელოების ჰაბიტატისაგან. მართვაში 81 მუდმივი და 7 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი იღებს მონაწილეობას, ხოლო 2018 წელს ტურისტული ვიზიტორების რაოდენობა 62 000 იყო.

#4-1 და #4-2 ცხრილებში მოცემულია მიმდინარე წლისა და გასული ორი წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიაზე თითოეულ ქვეპროგრამაზე გაწეული გადასახდელები და შემოსავლები წყაროების მითითებით. მიმდინარე წლის საერთო გადასახდელები ბიუჯეტში 2,11 მილიონი ლარის ოდენობით არის განსაზღვრული, ხოლო ამ გადასახდელების დაფინანსება მოსალოდნელია საბიუჯეტო ასიგნებებიდან (920 146 ლარი), სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან (212 176 ლარი), ადმინისტრაციის საკუთარი შემოსავლებიდან (445 000 ლარი) და გრანტებიდან (536 292 ლარი კავკასიის ბუნების ფონდიდან).

ცხრილი #4-1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ისტორიული და მიმდინარე წლის გადასახდელები, ლ (2018-2020 წლები)


დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,417,584	1,666,626	2,113,614
ხარჯები	1,133,837	1,374,522	1,542,690
არაფინანსური აქტივების ზრდა	283,747	292,104	570,924
ადმინისტრაციული პროგრამა	1,079,195	1,410,647	1,515,178
ხარჯები	1,074,010	1,359,120	1,515,178
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,185	51,527	0
დაცვისა და მართვის პროგრამა	278,562	94,160	81,968
ხარჯები	0	1,833	27,452
არაფინანსური აქტივების ზრდა	278,562	92,327	54,516
ურთიერთთავსებადი გამოყენების პროგრამა	59,827	161,819	516,468
ხარჯები	59,827	13,569	60
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	148,250	516,408

ცხრილი #4-2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ისტორიული და მიმდინარე წლის შემოსავლები/დაფინანსების წყაროები, ლ (2018-2020 წლები)

დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
საშინაო			
სახელმწიფო ბიუჯეტი	605,049	523,825	920,146
საკუთარი შემოსავლები (სააგენტოს)	266,228	340,302	212,176
საკუთარი შემოსავლები (ადმინისტრაციის)	218,298	376,797	445,000
სულ საშინაო	1,089,575	1,269,924	1,577,322
საგარეო			
გრანტები	328,009	396,702	536,292
CNF	268,241	353,935	536,292
TJS	59,768	42,767	
სულ საგარეო	328,009	396,702	536,292
სულ შემოსავლები	1,417,584	1,666,626	2,113,614


სურათზე #4-1 ნაჩვენებია საბაზისო მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით. ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 2,79 მილიონი ლარიდან 2021 წელს და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ნაზარდი ჯამით დაახლოებით 14,28 მილიონ ლარს აღწევს. 2021 წელს ფინანსური დეფიციტი იწყება 1,12 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 0,51 მილიონ ლარამდე მცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი დაახლოებით 4,24 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო ამ დეფიციტის დაფარვისთვის გათვალისწინებულ მისაღებ სახსრებზე დაახლოებით 42%-ით მეტი იქნება საჭირო.

სურათი #4-1. მართვის საბაზისო სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის, უ (2021-2026 წლები)



ოპტიმალური მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით ნაჩვენებია სურათზე #4-2. ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 3,4 მილიონი ლარიდან 2021 წელს და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ნაზარდი ჯამით დაახლოებით 17,55 მილიონ ლარს აღწევს. 2021 წელს ფინანსური დეფიციტი იწყება 1,72 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 1.01 მილიონ ლარამდე მცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი დაახლოებით 7,5 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო ამ დეფიციტის დაფარვისთვის გათვალისწინებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებზე დაახლოებით 75%-ით მეტი იქნება საჭირო.

სურათი #4-2. მართვის ოპტიმალური სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის, ლ (2021-2026 წლები)



დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებები განსხვავებული პუნქტებისაგან შედგება. თუმცა დაფინანსების გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორები, რომელიც ფინანსური დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის საჭირო, მოიცავს შემდეგს:

- მართვის ორივე სცენარის ფარგლებში კაპიტალდაბანდებები რეინჯერთა სადგურებისთვის, სველი წერტილებისთვის, ტურისტთა თავშესაფრებისთვის, პიკნიკისა და კემპინგის ადგილებისთვის და ხიდებისთვის, ხოლო შედარებით უფრო მაღალი ინტენსივობით - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის (დანართში 5 იხ. დეტალური ინფორმაცია მართვის თითოეული სცენარის ფარგლებში დამატებითი შენობების, ინფრასტრუქტურის და ობიექტების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ, მიმდინარე სიტუაციასთან მიმართებაში).

- სახეობათა გაზრდილი კვლევები და შეფასებები, ეკოლოგიური მონიტორინგის ძალისხმევასთან ერთად, რათა მოხდეს ინფორმირება ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებული მართვის შესახებ ორივე სცენარისთვის და, უფრო მაღალი ინტენსივობით - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის (ამ ძალისხმევათა ბუნებისა და გადასახდელების შესახებ დამატებითი დეტალები, თითოეული სცენარისთვის, იხ. დანართი 6).

- ამჟამად არსებული 88 თანამშრომლის რაოდენობის გაზრდა 95-მდე საბაზისო მართვის სცენარისთვის და 98-მდე - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის, ხელფასის, აღჭურვილობისა და ზედნადები ხარჯების გათვალისწინებით. თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა უნდა მოხდეს შესაძლებლობათა გაძლიერების შესაბამისი ინიციატივებისა და სხვა აუცილებელი ორგანიზაციული და ინსტიტუციური რეფორმების თანხლებით, რომლებიც განსაზღვრული იქნება მოხსენებებში, რომლებიც მომზადდება UNDP/GEF-ის VI პროექტის ფარგლებში დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის შესახებ (მაგ. შესაძლებლობათა საჭიროებების ანალიზი და სამოქმედო გეგმა; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განყოფილების კვლევა, და ა.შ.)

4.2 ვაშლოვანის დაცული ტერიტორია

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას 35 292 ჰექტარი უკავია და იგი ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში მდებარეობს. მასში არიდული ლანდშაფტი ჭარბობს, უდაბნოს, ნახევარუდაბნოს, სტეპის, არიდული ტყის მდელოების

და ფოთლოვანი ტყეების ჩათვლით. მართვას ახორციელებს 36 მუდმივი და 8 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი, ხოლო 2018 წელს ტურისტთა რაოდენობა დაახლოებით 12 400 იყო.

#4-3 და #4-4 ცხრილებში მოცემულია მიმდინარე წლისა და გასული ორი წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიაზე თითოეულ ქვეპროგრამაზე გაწეული გადასახდელები და შემოსავლები თითოეული წყაროების მითითებით. მიმდინარე წლის საერთო გადასახდელები ბიუჯეტში 1 035 525 ლარის ოდენობით არის განსაზღვრული, ხოლო შემოსავლები ამ გადასახდელების დაფინანსებისათვის მოსალოდნელია საბიუჯეტო ასიგნებებიდან (304 600 ლარი), სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან (233 396 ლარი), ადმინისტრაციის საკუთარი შემოსავლებიდან (80 000 ლარი) და გრანტებიდან (417 529 ლარი კავკასიის ბუნების ფონდიდან).

ცხრილი #4-3. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ისტორიული და მიმდინარე წლის გადასახდელები, ლ (2018-2020 წლები)


დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	540,059	1,146,055	1,035,525
ხარჯები	519,487	685,683	823,125
არაფინანსური აქტივების ზრდა	20,572	460,372	212,400
ადმინისტრაციული პროგრამა	519,487	693,294	827,095
ხარჯები	519,487	685,683	779,895
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	7,611	47,200
დაცვისა და მართვის პროგრამა	19,160	52,879	90,430
ხარჯები	0	0	43,230
არაფინანსური აქტივების ზრდა	19,160	52,879	47,200
ურთიერთთავსებადი გამოყენების პროგრამა	1,412	399,882	118,000
ხარჯები	0	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,412	399,882	118,000

ცხრილი #4-4. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ისტორიული და მიმდინარე წლის შემოსავლები/დაფინანსების წყაროები, ლ (2018-2020 წლები)

დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
საშინაო			
სახელმწიფო ბიუჯეტი	218,962	283,591	304,600
საკუთარი შემოსავლები (სააგენტოს)	143,923	497,263	233,396
საკუთარი შემოსავლები (ადმინისტრაციის)	57,239	77,168	80,000
სულ საშინაო	420,124	858,022	617,996
საგარეო			
გრანტები	119,935	288,033	417,529
CNF	119,935	288,033	417,529
სულ საგარეო	119,935	288,033	417,529
სულ შემოსავლები	540,059	1,146,055	1,035,525

სურათზე #4-3 ნაჩვენებია საბაზისო მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით. ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 1,18 მილიონი ლარიდან 2021 წელს და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ისინი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 6,8 მილიონ ლარს აღწევს. 2021 წელს ფინანსური დეფიციტი იწყება 0,28 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 0,21 მილიონ ლარამდე შემცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 1,45 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო, ამ დეფიციტის დაფარვისთვის, გათვალისწინებულ მისაღებ სახსრებზე დაახლოებით 27%-ით მეტი იქნება საჭირო.


სურათი #4-3. მართვის საბაზისო სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიისთვის, ლ (2021-2026 წლები)



ოპტიმალური მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით ნაჩვენებია სურათზე #4-4. ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 1,67 მილიონი ლარიდან 2021 წელს და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ნაზარდი ჯამით დაახლოებით 9,32 მილიონ ლარს აღწევს. 2021 წელს

ფინანსური დეფიციტი იქნება 0,77 მილიონი ლარი და 2026 წლისთვის 0,57 მილიონი ლარამდე შემცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 3,97 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო, ამ დეფიციტის დაფარვისთვის, გათვალისწინებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებზე დაახლოებით 74%-ით მეტი იქნება საჭირო.

სურათი #4-4. მართვის ოპტიმალური სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიისთვის, ლ (2021-2026 წლები)



დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებები განსხვავებული პუნქტებისაგან შედგება. თუმცა დაფინანსების გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორები, რომელიც ფინანსური დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის საჭირო, მოიცავს შემდეგს:

- საბაზისო მართვის სცენარისთვის კაპიტალდაბანდებები რეინჯერთა სადგურებისთვის, ჭაბურღილებისთვის, საპიკნიკე ადგილებისა და სველი წერტილებისთვის (დანართში 5 იხ. დეტალური ინფორმაცია მართვის თითოეული სცენარის ფარგლებში დამატებითი შენობების, ინფრასტრუქტურის და ობიექტების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ, მიმდინარე სიტუაციასთან მიმართებაში).
- სახეობათა გაზრდილი კვლევები და შეფასებები, ეკოლოგიური მონიტორინგის ძალისხმევასთან ერთად, მართვის ორივე სცენარისთვის და უფრო მაღალი ინტენსიობით - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის (ამ ძალისხმევათა ბუნებისა და ხარჯების შესახებ დამატებითი დეტალები თითოეული სცენარისთვის იხ. დანართში 6).
- ამჟამად არსებული 44 თანამშრომლის რაოდენობის გაზრდა 46-მდე ოპტიმალური მართვის სცენარისთვის - ხელფასის, აღჭურვილობისა და ზედნადები ხარჯების გათვალისწინებით. საბაზისო მართვისთვის განსაზღვრული თანამშრომლების რაოდენობა უცვლელი შეიძლება დარჩეს - იმავე რაოდენობით, რამდენიც დღეს არის. თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა უნდა მოხდეს შესაძლებლობათა გაძლიერების შესაბამისი ინიციატივებისა და სხვა აუცილებელი ორგანიზაციული და ინსტიტუციური რეფორმების თანხლებით, რომლებიც განსაზღვრული იქნება სხვა მოხსენებებში, რომლებიც მომზადდება UNDP/GEF-ის VI პროექტის ფარგლებში დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის შესახებ (მაგ., შესაძლებლობათა საჭიროებების ანალიზი და სამოქმედო გეგმა; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განყოფილების კვლევა, და ა.შ.)

4.3 თუშეთის დაცული ტერიტორია

თუშეთის დაცულ ტერიტორიას 82 182 ჰა ფართობი უკავია. იგი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარებს და ძირითადად ტყისა და მდელოების ჰაბიტატისაგან შედგება. მართვას ახორციელებს 34 მუდმივი და 3 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელით. 2018 წელს ტურისტ-ვიზიტორთა რიცხვმა 16400-ს მიაღწია.

ცხრილებში #ცხრილი #4-5 და #

ცხრილი #4-6 მოცემულია მიმდინარე წლისა და გასული ორი წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიაზე თითოეულ ქვეპროგრამაზე გაწეული გადასახდელები და შემოსავლები წყაროების მითითებით. მიმდინარე წლის საერთო გადასახდელები ბიუჯეტში 833 461 ლარის ოდენობით არის განსაზღვრული, ხოლო შემოსავლები ამ გადასახდელების დაფინანსებისათვის მოსალოდნელია საბიუჯეტო ასიგნებებიდან (263 320 ლარი), სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან (224 923 ლარი), ადმინისტრაციის საკუთარი შემოსავლებიდან (19 000 ლარი) და გრანტებიდან (326 218 ლარი კავკასიის ბუნების ფონდიდან).

ცხრილი #4-5. თუშეთის დაცული ტერიტორიის ისტორიული და მიმდინარე წლის გადასახდელები ლ (2018-2020 წლები)


დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	466,113	621,577	833,461
ხარჯები	453,995	529,206	647,861
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,118	92,371	185,600
ადმინისტრაციული პროგრამა	441,599	531,248	701,501
ხარჯები	439,599	529,206	616,801
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,000	2,042	84,700
დაცვისა და მართვის პროგრამა	5,763	23,319	100,900
ხარჯები	0	0	16,000
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,763	23,319	84,900
ურთიერთთავსებადი გამოყენების პროგრამა	18,751	67,010	31,060
ხარჯები	14,396	0	15,060
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,355	67,010	16,000

ცხრილი #4-6. თუშეთის დაცული ტერიტორიის ისტორიული და მიმდინარე წლის შემოსავლები/დაფინანსების წყაროები, ლ (2018-2020 წლები)

დასახელება	ისტორიული წლები		მიმდინარე წელი
	2018	2019	2020
საშინაო			
სახელმწიფო ბიუჯეტი	185,245	187,001	263,320
საკუთარი შემოსავლები (სააგენტოს)	173,308	257,855	224,923
საკუთარი შემოსავლები (ადმინისტრაციის)	15,738	18,508	19,000
სულ საშინაო	374,291	463,364	507,243
საგარეო			
გრანტები	91,822	158,213	326,218
CNF	91,822	158,213	326,218
სულ საგარეო	91,822	158,213	326,218
სულ შემოსავლები	466,113	621,577	833,461

სურათზე #4-5 ნაჩვენებია საბაზისო მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით. ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 1,13 მილიონი ლარიდან 2021 წელს და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ისინი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 6,29 მილიონ ლარს აღწევს. 2021 წელს ფინანსური დეფიციტი იწყება 0,47 მილიონი ლარით და 2026 წლისთვის 0,26 მილიონ ლარამდე შემცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი ნაზარდი ჯამით დაახლოებით 2,37 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო, ამ დეფიციტის დაფარვისთვის, გათვალისწინებულ მისაღებ სახსრებზე დაახლოებით 61%-ით მეტი იქნება საჭირო.


სურათი #4-5. მართვის საბაზისო სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით თუშეთის დაცული ტერიტორიისთვის, ლ (2021-2026 წლები)



სურათზე #4-6 ნაჩვენებია ოპტიმალური მართვის სცენარის ფინანსური საჭიროებები შესაძლო ხელმისაწვდომ ფულად სახსრებთან მიმართებით. 2021 წელს ფინანსური საჭიროებების ოდენობა იწყება 1,58 მილიონი ლარიდან და მომდევნო ექვსი წლის

განმავლობაში ნაზარდი ჯამით დაახლოებით 9,34 მილიონ ლარს მიაღწევს. 2021 წელს ფინანსური დეფიციტი იწყება 0,93 ლარით და 2026 წლისთვის 0,68 ლარამდე მცირდება. ექვსი წლის განმავლობაში იგი დაახლოებით 5,42 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო, ამ დეფიციტის დაფარვისთვის, გათვალისწინებულ ხელმისაწვდომ ფულად სახსრებზე დაახლოებით 138%-ით მეტი იქნება საჭირო.

სურათი #4-6. მართვის ოპტიმალური სცენარის ფინანსური საჭიროებები ხელმისაწვდომ ფინანსურ სახსრებთან მიმართებით თუშეთის დაცული ტერიტორიისთვის, ლ (2021-2026 წლები)



დაცული ტერიტორიის ფინანსური საჭიროებები განსხვავებული პუნქტებისაგან შედგება. თუმცა დაფინანსების გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორები, რომელიც ფინანსური დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის საჭირო, მოიცავს შემდეგს:

- მართვის ორივე სცენარის ფარგლებში კაპიტალდაბანდებები რეინჯერთა სადგურებისა და თავშესაფრებისთვის, პიკნიკისა და კემპინგის ადგილებისთვის, პანორამული გადასახედებისთვის და ცხენების საჯინობებისთვის და შედარებით უფრო მაღალი ინტენსიობით - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის, დამატებითი ტურისტული თავშესაფრებითა და სველი წერტილებით (დანართში 5 იხ. დეტალური ინფორმაცია მართვის თითოეული სცენარის ფარგლებში დამატებითი შენობების, ინფრასტრუქტურის და ობიექტების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ, მიმდინარე სიტუაციასთან მიმართებაში).

- სახეობათა გაზრდილი კვლევები და შეფასებები, ეკოლოგიური მონიტორინგის ძალისხმევასთან ერთად, მართვის ორივე სცენარისთვის და, უფრო მაღალი ინტენსიობით - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის (ამ ძალისხმევათა ბუნებისა და ხარჯების შესახებ დამატებითი დეტალები თითოეული სცენარისთვის იხ. დანართში 6).

